„საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოებისა და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოებთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებისა და დებულებით განსაზღვრული ჰერალდიკის საკითხებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის წარმართვის ფარგლებში სახელმწიფო სიბოლიკისა და ჰერალდიკის დეპარტამენტის 2025 წლის ანგარიში

საანგარიშო პერიოდში საკანონმდებლო ცვლილებების, მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულების შესაბამისად განხორციელდა საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს ბაზაზე სსიპ - საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკისა და ჰერალდიკის დეპარატმენტის შექმნისათვის შესაბამისი სამართლებრივი აქტების მომზადება და მიღება.

გაგრძელდა სსიპ - საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკისა და ჰერალდიკის დეპარატმენტის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების: **,,აღმასრულებელი ხელისუფლების ზოგიერთი საჯარო დაწესებულების ემბლემის გამოსახვის წესის“ შესახებ მთავრობის #572 -ის დადგენილების (2022 წლის 14 დეკემბერი)** შესრულებაზე მუშაობა, საჯარო დაწესებულებების სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შეთანხმება, ჩასწორება და დასამტკიცებლად მომზადება.

„საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“ კანონის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკისა და ჰერალდიკის დეპარატმენტის სპეციალისტების დახმარებით **შემუშავდა, შეთანხმდა და დამტკიცდა** ემბლემების, დროშების, გერბების, ოფიციალური კორესპოდენციების (წერილის), მედიასთან საკომუნიკაციო ბანერების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბლანკების, უნიფორმების, სერტიფიკატების, უწყებრივი ჯილდოებისა და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების პროექტები შემდეგ საჯარო სამსახურებში:

1. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური;
2. საქართველოს სპორტის სამინისტრო;
3. საქართველოს კულტურის სამინისტრო: სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო;
4. საქართველოს პარლამენტი;
5. საქართველოს სახალხო დამცველი;
6. სახელმწიფო აუდიტის სამსახური;
7. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო: სსიპ თავდაცვის მოხალისე; სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია;
8. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
9. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო: სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი; კოლეჯი ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“; სსიპ ევგენი ხარაზის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა;
10. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო: სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო; სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო;
11. ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო: სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო.

12. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი;
13. საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
14. საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტრო;
15. სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური;
16. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური;
17. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო;
18. სსიპ საქართველოს საპენსიო ფონდი;
19. სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო;
20. სსიპ კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი;
21. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წილკნის ხანდაზმულთა პანსიონატი;
22. სსიპ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;

სსიპ - საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკისა და ჰერალდიკის დეპარატმენტის დებულების (მუხლი 2, პუნქტი 2, ,,ბ“ ქვეპუნქტი) თანახმად შეიქმნა **ექსპერტთა კოლეგია**, რომელიც დარგობრივ სპეციალისტებს აერთიანებს, გაიმართა კოლეგიის ორი სხდომა.

შესაბამისი რეაგირება მიეცა და პასუხები გაიგზავნა **საჯარო დაწესებულებებსა და უწყებებში შესულ მოქალაქეთა წერილებზე,** რომლებიც რეაგირებისთვის სახელმწიფო სიმბოლიკისა და ჰერალდიკის დეპარატმენტში გადმოიგზავნა.

შემუშავდა და გაიგზავნა შესაბამისა სტრუქტურაში სსიპ საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოებისა და ჰერალდიკის დეპარატმენტის **საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა (2026-2029 წლები)** F

გაგრძელდა მუშაობა რიგ საჯარო დაწესებულებებთან (მთავრობის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით) არგუმენტირებული და დასაბუთებული მოთხოვნების წარმოდგენის თაობაზე, რათა გამონაკლისის სახით შეინარჩუნონ ლოგოები და ემბლემები, რაც უკვე შეთანხმებული და დამტკიცებულია.

რუმინეთში, ქ. იასიში გაიმართა **ჰერალდიკის საერთაშორისო აკადემიის 23-ე კოლოკვიუმი,** რომელზეც დეპარატმენტის დავმჯდომარემ, მამუკა გონგაძემ გააკეთა მოხსენება. ჰერალდიკის საერთაშორისო აკადემიის საბჭომ მამუკა გონგაძე აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩია.

ბათუმში გაიმართა **სემინარი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებთან** საქართველოს მთავრობის #572-ე (14.12.2022) დადგენილების: ,,აღმასრულებელი ხელისუფლების, ზოგიერთი საჯარო დაწესებულების ემბლემის გამოსახვის წესის“ გაცნობისა და ანალოგის შემუშავების მიზნით. გამოიკვეთა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის №572-ე დადგენილების მსგავსი საკანონმდებლო რეგულაციების შემუშავების საჭიროება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაშიც (საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით).

გაიმართა **სახელმწიფო სიმბოლიკისა და ჰერალდიკის დეპარატმენტის I სამეცნიერო კონფერენცია** თემაზე: ,,ქართული ჰერალდიკა: ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა“. მომზადებული მოხსენებები დაიბეჭდა დეპარტამენტის ყოველწლიური ალმანახის, ,,ჰეროლდის“ მე-12 ნომერში.

მომზადდა და გამოიცა: 1. **ყოველწლიური ჟურნალ ,,ჰეროლდის“** მე-12 ნომერი; 2. კრებული - **„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული სიმბოლოები - 1918-1921“.** 3. ალბომი - **„საქართველო შუა საუკუნეების პორტოლანებზე“.** განისაზღვრა სხვადასხვა

ჰერალდიკურ თემატიკაზე წიგნების, ჟურნალისა და სახელმწიფო დროშის დღისადმი მიძღვნილი მასალის გამოსაცემად მომზადება.